ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3877971

ნომერი: AR1584079

თარიღი : 14.03.2018

გაცემის თარიღი : 21.03.2018

გაცნობის თარიღი : 21.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გიორგაძე პ/ნ 37001007412
- , ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ზღვის უბნის დას., XI მ/რ., I კვ., კორპ. № 6, ბ. 25

ორგანიზაცია:

- ჯი-ბი-ჯი კოდი: 400177642

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3373829 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 14 მარტს №AR1584079 განცხადებით მომართა დავით გიორგაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3373829 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ნაწილში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3373829 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.035.802) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 05 ივლისიდან 2019 წლის 05 აგვისტოს ჩათვლით.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3373829 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლების ნაწილში ცვლილების შეტანა, კერძოდ, აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში საერთო ფართის 9016.60 კვ.მ.-ის, საცხოვრებელი ფართის 4465.00 კვ.მ.-ის, საზაფხულო ფართის 1383.10 კვ.მ.-ის, კომერციული ფართის 559.50 კვ.მ.-ის, დამხმარე ფართის 9.80 კვ.მ.-ის, ავტოსადგომების ფართის 1189.60 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართის 237.90 კვ.მ.-ის, ხოლო, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართის 1171.70 კვ.მ.-ის დაფიქსირება და შეთანხმებული გეგმების განსახილველი განცხადების 2018 წლის 21 მარტის №AR1239822MS შეტყობინებით წარმოდგენილი, გასწორებული გეგმებით ჩანაცვლება.
სამსახურმა განმცხადებელის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებელთა მოთხოვნა, შეიტანოს ცვლილება 2017 წლის 05 ივლისის №3373829 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ასევე შეთანხმებული გეგმები ჩაანაცვლოს განცხადების 2018 წლის 21 მარტის №AR1239822MS შეტყობინებით წარმოდგენილი, გასწორებული გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის საფუძველზე,
ვბრძანებ:
1.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3373829 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 4465.00; კომერციული ფართობი (კვ.მ).: 559.50; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1383.10, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 9.80, ავტოსადგომების ფართობი (კვ.მ).: 1189.60, სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 237.90, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1171.70, საერთო ფართობი (კვ.მ).: 9016.60.
ასევე, 2017 წლის 05 ივლისის №3373829 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 14 მარტს №AR1584079 განცხადების 2018 წლის 21 მარტის №AR1239822MS შეტყობინებით წარმოდგენილი, გასწორებული გეგმებით